განმარტებითი ბარათი
ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, შანდორ-ჰეტეფის ქუჩაზე. (მიწის ნაკვეთის №031.049) მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელ სახლზე მანსარდის დაშენების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაპრებლის ანგარიში

საპროექტო ობიექტი მდებარეობს ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, შანდორ-ჰეტეფის ქუჩაზე. მიწის ნაკვეთის ფართობია 514.0 კვ.მ. საკადასტრო კოდია 01.17.07.031.049საპროექტო მიწის ნაკვეთზე, ქ. თბილისის მერის 2013 წლის 17 მაისის №964 განკარგულებით გაიცა სპეციალური ზონალური შეთანხმება ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის თაობაზე, რომლის მიხედვით განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვრა კ2=3.6-ით.
ამის შემდგომ 2013 წლის 06 სექტემბრის №1913 განკარგულებით, კვლავ გაიცა სპეციალური ზონალური შეთანხმება ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის თაობაზე, რომლის მიხედვით განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვრა კ2=4.0-ით.სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაპრებელი იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

L / K2X(K2'-K2)XS

სადაც:

L - მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასი 1 მ^2

K2' - მიწის ნაკვეთისათვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე მინიჭებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი

K2 - მიწის ნაკვეთისათვის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი

S - მიწის ნაკვეთის ფართობი.

აქედან გამომდინარე, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაპრებელი იქნება:
17 ლარი / 2.5X(4.0-3.6)X514.0მ^2=1398.1 ლარი

აღნიშნული მოსაპრებელი გადახდილი იქნება არაუგვიანეს მშენებლობის ვადის გასვლისა.

შპს "მევახტეკ ჯე"-ს დირექტორი: ვასილ ჯალაღონია

ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება № 1913

"6" სექტემბერი 2013 წ.

ქ. თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩაზე არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.17.07.031.049) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2013 წლის 22 აგვისტოს სხდომის №33 ოქმის შესაბამისად:

1. ქ. თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩაზე არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.17.07.031.049) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=4,0.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს "ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და "ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07. წლის №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებლისთვის გახსნილ ანგარიშზე. **მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი.“ ც/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 (220101480) ა/ანგარიში: GE40LB0125152101628669.**

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი უგულავა